პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ ხუთშაბათი 7 დეკემბერი 1978 წ. □ № 285 (17329) □ ფასი 2 კაპ.

შეჯიბრების დევიზია: ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, სიახლის, ყოველივე პროგრესულის დანერგვა ცოცხალი საქმეა, რომლისთვისაც უცხოა უძრაობა და კონსერვატიზმი, რომ აქ საჭიროა სიბეჯითე, თავდადება, ვაჭკაცობა.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

ენგურჰესის ამაგეებლებს

პირველი აგრეგატის ამოქმედების წინ აღებულ სწრაფ ტემპს ინარჩუნებენ ენგურჰესის მშენებელ მემონტაჟეთა ბრიგადები. აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მეორე და მესამე აგრეგატების ვადამდე ამოშვებისათვის. როგორც ვიტყობინებოდით, მეორე აგრეგატის დამონტაჟება უკვე დამთავრდა. მალე იგი ქვეყანას სამრეწველო დენს მისცემს.

დასასრულს უახლოვდება მესამე ჰიდროაგრეგატის დამონტაჟება. ამასთან ერთად წარმატებით გრძელდება სამშენებლო სამუშაოებიც.

— მესამე აგრეგატის სამშენებლო ნაწილი 15 დღის წინათ დავამთავრეთ, — ამბობს ძალოუნი კვანძის სამშენებლო სამმართველოს მეხუთე უბნის უფროსი მოელი ჭაავა, — მანამდე კი მონტაჟის პარალელურად ვმუშაობდით. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დროულად არ მოგვაწოდეს სპირალური კამერა და სტატორი.

ამჟამად მ. ჭაავას უბანი მეოთხე და მეხუთე აგრეგატის სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობენ ის კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც მ. კიტიძე და ნ. გულორდავა ხელძღვანელობენ.

თ. ჭეიშვილი,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი.

ორი კვირით ადრე

ჭიათურა. (საკ. კორ). დიმიტროვის სახელობის მაღაროელებს მესამე კვარტალში მოპოვებული მაჩვენებლებისათვის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცათ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებების პასუხად ახლა დიმიტროველები იმისათვის იბრძვიან, რომ ხუთწლედის მესამე წლის დავალება ორი კვირით აღრე შეასრულონ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ შედეგებს აღწევენ უბნის გამგეები ბ. წეფარიძე, შ. აბაანდაძე, ცვლის უფროსი თ. ფარქოსაძე, მტვირთავი მანქანის მემანქანე ნ. ჭიღლაძე და სხვები.

ო. ნიკაბაძე.

შეჯიბრების ავანგარდში

ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ ოცდამეხუთედ დაჯილდოდა გარდამავალი წითელი დროშით.

დიდ წარმატებებს მიაღწია შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა, ცნობილმა ხარატმა შოთა არსენიძემ. მან უკვე შეასრულა პირადი ხუთწლედი.

ხურათზე: ხარატი შოთა არსენიძე (მესამე მარცხნიდან), თავის კოლეგებთან — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებთან ლევან ბილისეიშვილთან, თამაზ ქველაძესთან, გურამ ფოფხაძისა და ზაურ სარალიძესთან ერთად.

ო. ბერეზინიძის ფოტო,
(საქინფორმის ფოტოკრონიკა).

მეტი ყურძენი — სამშობლოს!

გურჯაანელთა მაგალითი

ეს დადებითი გამოცდილება მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა

გურჯაანელები ამბობენ: 1979 წლის რთვლისათვის ამთავითვე ვემზადებით!

მათ მოკრიფეს 114 ათასი ტონა ყურძენი. — მიმდინარე წლის მთელი რეკორდული მოსავლის თითქმის მეხუთედი. მათ საგგმო მაჩვენებლებს 26 ათასი ტონით გადააჭარბეს, საქართველოს მევენახეთა შორის პირველებმა უპატაჟეს სამშობლოს, რომ შეასრულეს მიცემული სიტყვა. მათ გაიმარჯვეს ძნელ ბრძოლაში სტიქიასთან, დაამტკიცეს, რომ საერთო საქმითა და დიდი მიზნით შთაგონებას ყოველი სიძნელის დაძლევა შეუძლია.

გამარჯვებულებზე მსჯელობენ არა მარტო იმით, რაც გააკეთეს, არამედ იმითაც, რის გაკეთებასაც აპირებენ. გამარჯვებულებისაგან ბევრს მოელიან, და ეს ისევე აღფრთოვანებს მათ, როგორც თვით გამარჯვება, გამარჯვებით ფრთაშესხმულმა გურჯაანის რაიონის მევენახეებმა გაბედულად შეხედეს მომავალს, დაისახეს დარგის შემდგომი განვითარების ახალი მიჯნები და რესპუბლიკის ყველა მევენახეს მოუწოდეს მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალ მოსავალს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა დარგის შემდგომ აღმავლობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა გურჯაანის რაიონში შეძენილი დადებითი გამოცდილება და საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონულ (საქალაქო) კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ურჩია გაშალონ ზამთრის სამეშაოები, რათა 1979 წელს უხვი მოსავალი მოიწიონ და უთუოდ შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა.

9-10 დეკემბერს რესპუბლიკაში ეწყობა ზამთრისათვის მვენახეების მომზადების დათვალიერება.

გურჯაანის რაიონის მინათმოქმედთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი

იწურება კიდევ ერთი სახოფლო-სამეურნეო წელი — მეათე ხუთწლედის მესამე წელი. ჩვენ, გურჯაანის რაიონის მევენახენი, ვამაყობთ, რომ მან წარმატებით ვამთავრებთ. ჩვენში ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ 92 ცენტნერი შეადგინა ჰექტარზე, რაც გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტია.

მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია! ვახარებიელებთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევა-დარიგებასა და მითითებებს სახოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების შესახებ, რომლებიც მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე გამოთქვა, ვალდებულებას ვკისრულობთ არ დავიშუროთ ძალ-ღონე, რათა ჩვენი ვენახები იძლეოდნენ უფრო უხვ მოსავალს, რათა კვლავაც მრავლდებოდეს ქართველ-ვაზის ოხტატა-სახელი.

ვალდებულებას ვკისრულობთ ვაზის მოვლის ყველა აგროტექნიკური ღონისძიება შევასრულოთ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე და 10 დეკემბერს შევაჯამოთ გაწეული მუშაობის შედეგები.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს. აპამოქმედებთ მათ და ჰექტარობრივ მოსავლიანობას საზოგადოებრივ ვენახებში 120-130 ცენტნერამდე გაგზრდით, რომელსაც წლევანდელ ხეზონში მაღალეის სოფლების ვაზისუბნის, ველისციხის, ჩუმლაყის, ბანდარის კოლმეურნეობამ.

ჩვენ ვამბობთ აგრეთვე გავზარდოთ ყურძნის წარმოება საკერძოდამო ნაკვეთებშიც. უკვე გაიხად შეჯიბრებაში ლოზუნგით: „თითოეულ სოფელში ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი ყურძენი!“ ჩაებმება რაიონის ბევრი სოფელი.

ჩვენი რაიონი რესპუბლიკაში წამყვანია ყურძნის წარმოების მხრივ და ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია, რომ თითოეული მეურნეობა პროდუქციის დიდ მომწოდებელი გახდეს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ახალი ვენახების ფართობები რაიონში 6 ათასი ჰექტარით გაიზარდა. წლევანდელ სეზონში საზოგადოებრივ მეურნეობებში გაშენდა 500 ჰექტარზე მეტი ზვრები.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვენახების სამეცნიერო ლიკვიდაციას, მარტო ამ შემოდგომაზე გამეჩხერებულ ნაკვეთებში დავრგეთ 552 ათასი ვაზი, ვალდებულებას ვკისრულობთ უკვე უახლოეს წლებში ყოველი ჰექტარი ხრულმოსავლიანი გავხადოთ.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ვაზს დღენიადაგ უნდა ვუვლიდეთ. პირობას ვდებთ წლის ყოველ დროს, ყოველდღე ვიზრუნოთ ძალ-ღონის სრული დაძაბვით, რათა ბაისად გადაბარგებით შეასრულოთ ყურძნის კრეფის გეგმა და ხუთწლედის დასასრულ სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვა 150 ათას ტონამდე გავზარდოთ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მაგალითს მიბაძავს რესპუბლიკის ყველა მევენახეობის რაიონი. მოვუწოდებთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს გაჩაღონ ბრძოლა 1979 წლის ყურძნის პარაძიანი მოსავლისათვის.

მიმართვა მიღებულია გურჯაანის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ავღანეთის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლებიც

ადასტურებენ, რომ ერთგულნი არიან საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1921 წლის და 1931 წლის ხელშეკრულებათა მიზნების და პრინციპებისა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა და ავღანელი ხალხების მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას და მათს ძირეულ ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება,

სურთ ყოველნაირად განმტკიცონ ორი ქვეყნის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა,

მტკიცედ აქვთ გადწყვეტილი განავითარონ საბჭოთა და ავღანელი ხალხების სოციალური და ეკონომიკური მიღწევები, დაიცვან მათი უშიშროება და დამოუკიდებლობა, გადაჭრით დაუჭირონ მხარი მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირებას,

გამოთქვამენ მტკიცე გადწყვეტილებას ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებას აზიასა და მთელ მსოფლიოში, შეიტანონ თავიანთი წვლილი სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარებასა და აზიის ქვეყნებს შორის ნაყოფიერი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცებაში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თვიანთი ურთიერთობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი საფუძვლის შემდგომ განმტკიცებას,

ადასტურებენ, რომ ერთგულნი არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნების და პრინციპებისა,

გადწყვიტეს დადონ მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ეს ხელშეკრულება და დადგეს შემდეგი:

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხაჯაროდ აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ განამტკიცონ და გააღრმაონ ორი ქვეყნის ურღვევი მეგობრობა და განავითარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა თანასწორუფლებიანობის, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ერთმანეთის ხაშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველაფერს იღონებენ, რათა გაანმტკიცონ და გააფართოონ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. ამ მიზნით ისინი განავითარებენ და გააღრმავებენ თანამშრომლობას მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის დარგში, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ენერგეტიკული მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის სხვა დარგებში, ხელს შეუწყობენ ეროვნული კადრების მომზადებასა და სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვას, მხარეები გააფართოებენ ვაჭრობას თანასწორობის, ნაცვალგებისა და უპირატესი ხელმწყობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 3

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებას მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში.

მხარეები ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობის გაფართოებას იმ მიზნით, რომ უფრო ღრმად გაეცნონ ორივე ქვეყნის ხალხთა ცხოვრებას, შრომას, გამოცდილებას და მიღწევებს.

მუხლი 4

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ტრადიციების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით მოქმედებენ, კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს და ორივე მხარის თანხმობით განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ ორივე ქვეყნის უშიშროება, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის ისინი კვლავაც განავითარებენ თანამშრომლობას სამხედრო დარგში ერთმანეთთან დადებულ შესაბამის შეთანხმებათა საფუძველზე.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 5 დეკემბერს კრემლის დიდ სასხლეულში სადილი გაუმართეს ავღანეთის, სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრ ნურ მუჰამედ თარაკის.

ნ. მ. თარაკისთან ერთად სადილად იყვნენ მისი თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რ. მ. პაჟანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო თარაკი!

პატივცემულო ავღანელო სტუმრებო!

ამხანაგებო!

გულწრფელად და გულითადად მივესალმები ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს. გვახარებს ამ მეგობარი ქვეყნის გამოჩენილ ხელმძღვანელთან ამხანაგ თარაკისთან, ამხანაგ ამინთან და დელეგაციის შემადგენლობაში ჩამოსულ სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრა.

საბჭოთა კავშირი და ავღანეთი კარგი, კეთილი მეზობლები არიან. ეს უკვე ტრადიციაა. ჩვენ შორის თანასწორუფლებიან და მეგობრულ ურთიერთობას 60 წლის წინათ საფუძველი ჩაუყარა დიდმა ლენინმა. დრომ დამჯერებლად ცხადყო, თუ რა კარგად

(დასასრული მე-3 გვ.)

ლ. ი. ბრეჟნევმა მიილო ა. ჰარიმანი

6 დეკემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ა. ჰარიმანი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

გულახდილ საუბარში, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც თავის პრინციპულ გეზს ადგას, აქტიურად იღვწის ამერიკის შეერთებულ შტატებთან კეთილი ურთიერთობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის და მზად არის, თუ ასევე მზადაა ამერიკის მხარე, ერთად იმუშაონ ასეთი ურთიერთობის განვითარებისათვის სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. ამ თვალსაზრისით უპირველესი ამოცანაა, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალი შეთანხმების ჭეშმარიტი უსწრაფესად დამთავრება და დადება.

თავის მხრივ ა. ჰარიმანმა გამოთქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება, ორი ქვეყნის სხვადასხვაგვარი პოზიციების მიუხედავად, აუცილებელია, და მხარი დაუჭირა იმას, რომ ეს ურთიერთობა კონსტრუქციულად განვითარდეს სხვადასხვა დარგში.

საუბარი კრემლში

6 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო „ჩეზ მანჰეტენ ბენკის“ გამგეობის თავმჯდომარე დ. როკფელერი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს მეექვსე სხდომაში მონაწილეობისათვის.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. გაიმართა კონკრეტული და სასარგებლო აზრთა გაზიარება. (საკდესი).

ხელი მოაწერეს დოკუმენტებს

6 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა;

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ნ. მ. თარაკიმ.

ხელი მოაწერეს აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი სამთავრობათშორისო კომისიის დაარსების შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის სახელით — ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა;

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით — საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, დაგენგამის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა შ. ვალიმ.

დოკუმენტებს ხელმოწერაზე იყვნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ა. ბ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი;

ავღანეთის მხრივ — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ამინი, სოფლის მეურნეობისა და მიწის რეფორმის მინისტრი ს. მ. ზერაი, უმაღლესი განათლების მინისტრი მ. სუმა, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ხურათზე: ხელმოწერის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ

(დასასრული)

მუხლი 5

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი პატივს სცემს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა პატივს სცემს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშვიდობის პოლიტიკას, რომლის მიზანია განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთან და ხალხებთან.

მუხლი 6

მაღალ ხელშემკვრელ მხარეთაგან თითოეული საჯაროდ აცხადებს, რომ იგი არ შევა სამხედრო ან სხვა კავშირებში და არ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოთა რაიმე დაჯგუფებაში, აგრეთვე მოქმედებასა თუ ღონისძიებაში, რომლებიც მიმართული იქნება მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 7

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა დაიცვან საერთაშორისო მშვიდობა და ხალხთა უშიშროება, გააღრმაონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, გააკრცელონ იგი მსოფლიოს ყველა რაიონზე, მათ შორის აზიაზე, ხოლო რაც შეახებ მას სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის, საერთაშორისო სადავო საკითხთა მშვიდობიანი საშუალებით მოწესრიგების კონკრეტული ფორმებით.

ორივე მხარე აქტიურად შეუწყობს ხელს საყოველთაო და სრულ განიარაღებას, მათ შორის ბირთვულ განიარაღებას ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით.

მუხლი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ აზიის სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და ორმხრივი ნდობის ურთიერთობის დამყარებას და აზიის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნას ამ კონტინენტის ყველა სახელმწიფოს გაერთიანებული მეცადინეობის საფუძველზე.

მუხლი 9

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განაგრძობენ თანამიმდევრულ ბრძოლას აგრესიის ხრიკების წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და რასიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და სხვა მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოებთან ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და სოციალური პროგრესისათვის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად.

მუხლი 10

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც ორივე ქვეყნის ინტერესებს შეეხება.

მუხლი 11

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მათი ვალდებულებანი არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების დებულებებს, და ვალდებულებას კისრულობენ არ დადონ მასთან შეუთავსებელი არავითარი საერთაშორისო შეთანხმებანი.

მუხლი 12

საკითხები, რომლებიც შეიძლება მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის წამოიჭრას ამ ხელშეკრულების რაიმე დებულების განმარტების ან გამოყენების თაობაზე, გადაწყდება ორმხრივი წესით, მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 13

ეს ხელშეკრულება იმოქმედებს ოცი წლის მანძილზე დღიდან მისი ძალაში შესვლისა.

თუ აღნიშნული ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე მაღალ ხელშემკვრელ მხარეთაგან არც ერთი არ გამოთქვამს სურვილს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, იგი ძალაში დარჩება მომდევნო 5 წლისათვის და ასე — მანამ, სანამ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთაგან ერთერთი მიმდინარე ხუთწლეულის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს, რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

მუხლი 14

თუ ხელშეკრულების მოქმედების ოცი წლის ვადის განმავლობაში მაღალ ხელშემკვრელ მხარეთაგან ერთ-ერთი მოისურვებს შეწყვიტოს მისი მოქმედება აღნიშნული ვადის გასვლამდე, მან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის დასახული თარიღის დადგომამდე ექვსი თვით ადრე უნდა გაუგზავნოს მეორე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ, რომ სურს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება მისი ვადის გასვლამდე და შეუძლია ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩათვალოს ამ გზით განსაზღვრული თარიღიდან.

მუხლი 15

ეს ხელშეკრულება სარატიფიკაციოა და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც ქაბულში მოხდება.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად, თითოეული რუსულ ენაზე და დარის ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

შესრულებულია მოსკოვში 1978 წლის 5 დეკემბერს..

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
ლ. ბრეჟნევი

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით
ნ. მუჰამედ თარაკი

...მთელი მუშაობის ცენტრში უნდა დავაყენოთ წარმოების საბოლოო შედეგებზე ორიენტაცია, მათი მიღწევის უფრო ეფექტიანი და ეკონომიური გზების ძიება.

ლ. ბრეჟნევი

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან).

3. შეფასების კრიტერიუმი — საბოლოო შედეგი

ეკონომიკის პრობლემებზე

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური სტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია წარმოების თითოეულ რგოლში აქქმნილი შედეგი უთუოდ შეესაბამებოდეს საერთო სტანდარტებსა და მოთხოვნებს, ყოველმხრივ ითვალისწინებდეს მომხმარებლის ინტერესებს, ორგანულად ერთვოდეს შედეგთა საერთო ჯაჭვში და აქმნიდეს ახალი შეალედური, თუ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგის მიღწევის საშუალებას. ამ უცილობელი პეშმარიტების გაუთვალისწინებლობა მნიშვნელოვნად აუარესებს ჩვენი მუშაობის ხარისხს, ამცირებს წარმოების ეფექტიანობას, სერიოზულ სიძნელეებს ქმნის მოშიჯნავე დარგთა და საწარმოთა ურთიერთობაში. ამის შესახებ საკმაოდ ვრცლად გვქონდა საუბარი გაზეთ „კომუნისტის“ 1978 წლის 16 მაისისა და 14 აგვისტოს ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიებში („გამოუყენებელი რესურსები“; „ვინ ზარალობს, როცა ერთი დარგი არ ითვალისწინებს მეორის მოთხოვნებს?“).

სავსებით გასაგებია თანამედროვე ეტაპზე საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებზე უურადღების ესოდენი გამახვილება. წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამსახველი ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სინთეზური მაჩვენებელი, რომლის არსის ამომწურავი დახასიათება მოგვცა პარტიის XXV ყრილობამ, მომწიფებული სოციალისტური სოზოგადების პირობებში სულ უფრო სრულად გამოხატავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს და მისი ხორცშესხმის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

„საბოლოო შედეგებზე ორიენტაცია ორგორც ჩვენი ეკონომიკური მეცნიერების, ისე სამეურნეო პრაქტიკის წინაშე მრავალ ახალ ამოცანას აყენებს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ისეთი მწყობრი, ყოველმხრივ დასაბუთებული მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს მეცნიერულად განესაზღვროთ დარგის, გაერთიანებისა თუ საწარმოს საქმიანობის როგორც შუალედური, ისე საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების შეფასების კრიტერიუმი და ამის საფუძველზე დავაღგინოთ, რამდენად უწყობს ხელს სახალხო მეურნეობის ესა თუ ის რგოლი ჩვენი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნორმალურ ფუნქციონირებას, რა წვლილი შეაქვს ამა თუ იმ შრომით კოლექტივს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობაში. ამასთან ეს კომპლექსური მაჩვენებელი ყოველმხრივ უნდა თვალისწინებდეს ორგორც დარგთა და საწარმოთა მუშაობის საბოლოო შედეგებს, ისე ამ შედეგების სახალხო მეურნეობის სხვა რგოლებში გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ცალეულ დარგთა და საწარმოთა ეკონომიკური კავშირურთიერთობა მრავალი თავისებურებით ხასიათდება. შეალედურ თუ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგთა შეფასების კრიტერიუმი შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა ითვალისწინებდეს ამ სპეციფიკას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ყოველი რგოლის მუშაობის შედეგების შეფასების კრიტერიუმის პარამეტრების განსაზღვრისას ამოსავალი უნდა იყოს სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზანი, რომელიც გულისხმობს ადამიანების მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებას. თანამედროვე ეტაპზე კი საზოგადოებრივი მოთხოვნა, სხვა სინთეზურ მაჩვენებლებთან ერთად, შედარებით სრულ გამოხატულებას პოულობს შეკვეთა-განაცხადებსა და სამეურნეო ხელშეკრულებებში, რომლებშიც დაკონკრეტებულია პროდუქციის მოცულობა, მისი შიდაასორტიმენტული სტრუქტურა და ხარისხი. მიწოდების ვადები და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური და სამოქმედებლო ნიშან-თვისებები.

საკითხს, თუ ასე დავაყენებთ, მაშინ ვაჭრობის თვალთახედვით მრეწველობის მუშაობის შუალედური შედეგებიც სამეურნეო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიხედვით უნდა შევაფასოთ. ასეთ პირობებში უთუოდ გაიზრდება სამრეწველო საწარმოთა პასუხისმგებლობა — აწარმოონ და წინასწარ განსაზღვრულ ვადაში მიაწოდონ ვაჭრობას სწორედ იმ მოცულობის, შიდაასორტიმენტული სტრუქტურის, ხარისხისა და სხვა სამომხმარებლო თვისებების მქონე ნაწარმი, რომელზეც დიდია საზოგადოებრივი მოთხოვნა. თავის მხრივ, ვაჭრობის მუშაობის შუალედური შედეგები უნდა შეფასდეს როგორც სამეურნეო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებანი და საქონლებრუნვის გეგმების ასორტიმენტულ ჭრილში შესრულებნი, ისე სავაჭრო მომსახურების ხარისხით.

ამ ორი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული დარგის მუშაობის ასეთი შეფასება, ეფიქრობთ, ხელს შეუწყობს ისეთი უარყოფითი შედეგების დაძლევას, როდესაც სამრეწველო საწარმოები საწარმოო პროგრამის შესრულებას უპირატესად მასალატევადი, ძვირადღირებული და იოლად დასაზზადებელი პროდუქციის წარმოების ხარჯზე ცდილობენ, და ნაწარმის რეალიზაციის გეგმების გადაჭარბებით განაღდების პირობებშიც კი ვერ ართმევენ თავს ისე ამ მოვლენის ფესვებს, როგორიაა, მარტივი, მაგრამ მომხმარებლისათვის მეტად საჭირო ნაკეთობის გამოშვების საგეგმო დავალებათა შესრულებას. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ვაჭრობაშიც, სადაც საქონლებრუნვის გეგმებს ხშირად ძვირადღირებული ნაწარმის რეალიზაციით ასრულებენ ამ დროს, როდესაც მოსახლეობის მოთხოვნა მრავალ წვრილმან საოჯახო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ნივთზე დაუკმაყოფილებელი რჩება.

სამეურნეო ხელშეკრულებების როლის წინა პლანზე წამოწევა, თავის მხრივ, მოითხოვს მრეწველობისა და ვაჭრობის ურთიერთობის ისეთი ეფექტიანი მეთოდების დანერგვას, რომლებიც ორივე დარგს სტიმულს მისცემს გააფართოონ საწარმოო-ეკონომიკური თანამშრომლობა, საქმიანი, ურთიერთხელსაყრელი და სასარგებლო პარტნიორობა. საწარმოო-ეკონომიკური თანამშრომლობის მეცნიერულად დასაბუთებული, მკაცრად განსაზღვრული რეგლამენტაცია უთუოდ უნდა გამორიცხავდეს ერთი დარგის შუალედურ შედეგებზე მეორე დარგის შედეგების უარყოფით გავლენას, უზრუნველყოფდეს იმას, რომ რაც ეკონომიკურად ხელსაყრელია ერთი დარგისათვის, უცილობლად ეფექტიანი და სასარგებლო იყოს მეორე დარგისთვისაც. ამასთან უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეკონომიკის ყოველი რგოლი თვითონ აგებდეს მატერიალურად პასუხს მის მიერ შექმნილი მატერიალიზებული შედეგის ეკონომიკის მეორე რგოლის მოთხოვნებისაგან შეუსაბამობით წარმოშობილი სიძნელეებისათვის.

ამდამად სამრეწველო საწარმოებს უკვე რეალიზებულად ეოცებათ ის პროდუქცია, რომელიც საჭირო ორგანიზაციებმა მიიღეს, მაშინ, როცა ფაქტიურად გამოშვებული ნაწარმის რეალიზაცია იწყება არა საჭირო საწარმოოა მიერ მათი შეკვეთით, არამედ — მომხმარებელთა მიერ მათი შეძენით. ხშირად მრეწველობისათვის რეალიზებულად მიჩნეული ნაკეთობა, რომლის სამთოშო ბაზებსა და საწყობებში შენახვაზე მნიშვნელოვანი მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსები იხარჯება, დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებრივი აღიარების გარეშე რჩება, თუმცა მათი საფასური უკვე გადახდილი აქვთ საჭირო ორგანიზაციებს. რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი — ჩამოფასდეს ძნელადსარეალიზაციო ნაწარმის დიდი ნაწილი, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტი და საჭირო ორგანიზაციები ზარალდებენ. იმ სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზეკი, რომლებმაც ასეთი ნაწარმი დაამზადეს, ყოველივე ეს არავიარად ცუდ გავლენას არ ახდენს. ცხადია, ეკონომიკური ურთიერთობის ასეთი ფორმა უთუოდ მოითხოვს დროულ, არსებით გადასინჯვას.

ამ მიმართებით, ეფიქრობთ, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს მოსაზრება სამეურნეო ხელშეკრულებების დარღვევისათვის სამრეწველო საწარმოთა მიერ გადახდილი ჯარიმების გადდებისა და ამის ხარჯზე პროდუქციის ჩამოფასების ფონდის შექმნის შესახებ. ამდამად ხელშეკრულებების დარღვევისათვის მრეწველობის მიერ გადახდილი ჯარიმების თანხა მათი მოგების საერთო მოცულობის 3 პროცენტს არ აღემატება. ცხადია, ასეთი „მოკძალებული“ ეკონომიკური სანქცია ნაკლებ სტიმულს ძალევს მათ სათანადოდ დაინტერესდნენ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებით, ვაჭრობისათვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოცულობის პროდუქციის მიწოდებით, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვით. დაბალი ხარისხისა და ისეთი პროდუქციის წარმოებისათვის, რომლზეც არ არის მოსახლეობის მოთხოვნა, მატერიალური პასუხისმგებლობა სამრეწველო საწარმოებს უნდა დაეკისროთ, სწორედ მათ უნდა გაიღონ ნაწარმის ჩამოფასებისათვის საჭირო თანხა, მთლიანად თუ არა, მისი ნახევარი მაინც. თავის მხრივ, მკვეთრად უნდა გადიდდეს სავაჭრო საწარმოთა პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს ამბობენ სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვით დამზადებული ისეთი პროდუქციის მიღებაზე, რომელიც მათი შეკვეთა-განაცხადის საფუძველზე იქნა წარმოებული.

სამეურნეო ხელშეკრულებების როლის ამაღლება მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის გაუმჯობესების ამოცანას. როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო საწარმოთა მუშაობის პროგრამა ყოველმხრივ უნდა ითვალისწინებდეს მშრომელთა მოთხოვნებს, სურვილებს, საჭიროებებს; სწორედ მათი დაკმაყოფილების ხარისხის მიხედვით უნდა განისაზღვრებოდეს როგორც მრეწველობის, ისე ვაჭრობის მუშაობის შეჯამებული ეფექტი — საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგები.

მრეწველობისა და ვაჭრობის ურთიერთობის გაფართოება-სრულყოფისა და საზოგადოებრივი მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, ამ დარგებშიც ყოველმხრივ უნდა დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობაში მიმდინარე ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული დარგების დაახლოების პროცესი, ამასთან, საჭიროდ გვესახება შეექმნათ ისეთი ფართო უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი საწარმოო-ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც შეიძლება მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის წამოიჭრას ამ ხელშეკრულების რაიმე დებულების განმარტების ან გამოყენების თაობაზე, გადაწყდება ორმხრივი წესით, მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 13

ეს ხელშეკრულება იმოქმედებს ოცი წლის მანძილზე დღიდან მისი ძალაში შესვლისა.

თუ აღნიშნული ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე მაღალ ხელშემკვრელ მხარეთაგან არც ერთი არ გამოთქვამს სურვილს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, იგი ძალაში დარჩება მომდევნო 5 წლისათვის და ასე — მანამ, სანამ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთაგან ერთერთი მიმდინარე ხუთწლეულის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს, რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

მუხლი 14

თუ ხელშეკრულების მოქმედების ოცი წლის ვადის განმავლობაში მაღალ ხელშემკვრელ მხარეთაგან ერთ-ერთი მოისურვებს შეწყვიტოს მისი მოქმედება აღნიშნული ვადის გასვლამდე, მან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის დასახული თარიღის დადგომამდე ექვსი თვით ადრე უნდა გაუგზავნოს მეორე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ, რომ სურს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება მისი ვადის გასვლამდე და შეუძლია ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩათვალოს ამ გზით განსაზღვრული თარიღიდან.

მუხლი 15

ეს ხელშეკრულება სარატიფიკაციოა და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც ქაბულში მოხდება.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად, თითოეული რუსულ ენაზე და დარის ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

შესრულებულია მოსკოვში 1978 წლის 5 დეკემბერს..

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
ლ. ბრეჟნევი

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით
ნ. მუჰამედ თარაკი

რედაქციისაგან:

ურთიერთდაკავშირებულ დარგთა და საწარმოთა ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაუმჯობესება, ურთიერთხელსაყრელი, საქმიანი თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაფართოება გეგმიანი მეურნეობის პირობებში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია, რასაც ხაზი გაესვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულ ნოემბრის პლენუმზე. ამ მხრივ მრავალი სერიოზული ხარვეზი და ნაკლოვანება შეიმჩნევა ჩვენს რესპუბლიკაშიც. როგორ ავამოქმედოთ მთელი უკუგებით სახალხო მეურნეობა? ამაზე ბევრ ადამიანს ეფიქრებოდა ამ ბოლო დროს. ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეფიქრებოდა

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

შეესაბამება ეს ურთიერთობა ორი ჩვენი ქვეყნის ძირეულ ინტერესებს.

მაგრამ ან დადგა 1978 წლის აპრილი. ნამდვილმა სახალხო რევოლუციამ მკვეთრად შემოაბრუნა ავღანეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. და არაფერი არ არის გასაკვირი, რომ ასეთ პირობებში ჩვენი ქვეყნების ტრადიციულმა კეთილმა ურთიერთობამ შეიძინა, მე ვიტყოდი, თვისებრივად ახალი ხასიათი.

ეს ახალი მარტო კეთილი მეზობლობა კი არა, ღრმა, გულწრფელი და მტკიცე მეგობრობაა, რომელიც გამსჭვალულია ამხანაგობისა და რევოლუციური სოლიდარობის სულისკვეთებით.

ყოველივე ეს ახალი აისახა სწორედ ჩვენ მიერ დღეს ხელმოწერილ მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში. გულდაჯერებთ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება უთვალსაჩინოესი პოლიტიკური აქტია. იგი არა მარტო დადება საფუძველად საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, არამედ ხელს შეუწყობს კიდეც აზიის მშვიდობისა და უშიშროების, და ამით მთელი მსოფლიოს დარბაზის გაცხადებთ.

სულითა და გულით ვუსურვებთ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიას, მთავრობასა და ხალხს წარმატებებს აპრილის რევოლუციის მიზნების და ამოცანების განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირში დიდი პატივისცემით ეკიდებიან ავღანეთის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მშვიდობის, მეზობლობის, ყველა ქვეყანასთან თანასწორუფლებიანი და ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარების, მშვიდობიანი გზით საღაკო საკითხების გადაჭრის პოლიტიკას.

ჩვენმა ავღანელმა მეგობრებმა, უეჭველია, კარგად იციან ის უღიერესი ლონისძიებანი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლანდელ პირობებში მთავარია არ დავუშვათ ახალი მსოფლიო ომის წარმოქმნა, რომელიც, დედამიწის რომელ წერტილშიც უნდა დაიწყოს იგი, საშინელი უბედურება იქნება მთელი კაცობრიობისათვის.

ამიტომ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები თანამიმდევრულად იღებენ ზომებს ბალანსებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეკვეცისათვის, განიარაღებაზე გადასვლისათვის.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ მანეთი და დოლარი, ზლოტი და მარკა, ლეი და ფრანკი მთლიანად მშვიდობიან საქმიანობებს ხმარდებოდეს. მაგრამ საკითხის გადაწყვეტის ჯერ აქ მხოლოდ ურთიერთსაფუძველზე უნდა მოიფიქროს.

საბჭოთა კავშირი ომის მომხრეა, რომ ღრმავდებოდეს და დაჩქარდებოდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, რომ იგი ვრცელდებოდეს პლანეტის ყველაზე დასახლებულ კონტინენტზე — აზიაზეც. და ჩვენ გვწამს, რომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკაც შეიტანს თავის ღირსეულ წვლილს ამ მიზნების მიღწევაში.

ძვირფასო ავღანელო მეგობრებო! ჩვენი შეხვედრებისა და ჩვენი საუბრების შედეგად, ჩვენ შორის არა მარტო დამყარდა კარგი პირადი, ამხანაგური კონტაქტი, არამედ განმტკიცდა კიდეც გულწრფელი და ღრმა ურთიერთგაგების ბაზაზე საერთაშორისო მიდგომად უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემებისადმი, ჩვენი ქვეყნების, პარტიებისა და ხალხების ორმხრივი კავშირურთიერთობის საკითხებისადმი.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თქვენი ვიზიტი, ამხანაგო თარაკი, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირსა და ავღანეთის მეგობრული ურთიერთობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის განვითარებაში.

ბოლოს ბოლოს ადგილი:

დიდ კიდევ უფრო განმტკიცებულიყოს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობა!

ღონგრძელობას ვუსურვებ ამხანაგ თარაკის!

დიდგრძელობას ვუსურვებ ყველა ჩვენს ავღანელ სტუმარს!

პასუხი სიტყვა წარმოთქვა ნ. მ. თარაკიმ.

ამხანაგ ნ. მ. თარაკის სიტყვა

ძვირფასო და პატივცემული ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეე!

ძვირფასო და პატივცემული ამხანაგო ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე!

ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

უდიდეს კმაყოფილებას მგვრის რომ, ავღანელი ხალხის დიდი და სახელოვანი აპრილის რევოლუციის შემდეგ პირველად საზღვარგარეთ, გამომგზავრებული, ეგვვე დიდ, მშვენიერ და მეგობარ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, შეეხვდი ჩემს ძვირფას ამხანაგებს — პატივცემულ საბჭოთა ხელმძღვანელებს და ამხანაგურ მეგობრულ აკმოსფეროში გავეუბიარეთ ერთმანეთს აზრი ჩვენი მეზობელი ქვეყნების პარტიების, მთავრობებისა და ხალხებისათვის საინტერესო საკითხებზე.

უდიდეს მადლობას მოვახსენებ ჩემს ძვირფას ამხანაგებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას ამ მეგობრული ვიზიტის გასამართავად თავაზიანი მოწვევისათვის, იმ შესაძლებლობის მიწიებისათვის, რომ შეეხვედროდი მეგობარი და მოძმე ქვეყნის პარტიის, სახელმწიფოსა და მთავრობის პატივცემულ ხელმძღვანელებს, უფრო ახლო გამეცნო დიდი სახელმწიფოსა და ჩვენი კეთილი მეზობლის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოწინავე, რევოლუციური, მამაცი, და შრომისმოყვარე ხალხი.

გულითად მადლობას მოვახსენებ პარტიულ, სახელმწიფო და სამთავრობო ორგანოებს, მთელ ჩამაც საბჭოთა ხალხს იმ გულთბილი მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, ჩვენ რომ გაგვიწიეს თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში ჩამოსვლის მომენტიდან.

საბჭოთა და ავღანელი ხალხების მეგობრულ და ძმურ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მან გაუძლო დროისა და პრაქტიკის გამოცდას, ექვსი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით ვითარდებოდა და ახლა მაღალ დონეს მიაღწია.

ამ კეთილ ურთიერთობას საფუძველი ჩაუყარეს მსოფლიოს მოწინავე და რევოლუციურ მწარმოელთა დიდმა ბელადმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა და ავღანეთის თავისუფლებისათვის მებრძოლებმა. იმ დროს დიდმა ლენინმა, რომელიც მის მიერ შემოქმედებითად შემუშავებულ პრინციპებს ეყრდნობოდა, გამაჯერებამდე მიიყვანა უმაგალითო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც კომუნისტური პარტიის — თავისუფლების მებრძოლთა და მეტიოლეთა პარტიის ხელმძღვანელობით. ამ დროს ინდოეთი, ავღანეთი, ირანი, ტურანი, ფინანსური და ეკონომიკური დახმარება გაუწია ავღანეთს. ავღანეთიც პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც ცნო საბჭოთა რუსეთი დიდი ლენინის მეთაურობით. ეს ფაქტი, რომ ავღანეთის დამოუკიდებლობა ცნო დიდმა რევოლუციურმა სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა, რომელიც მეგობრობისა და მხარდაჭერის გრძნობებით იყო გამსჭვალული, ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ღირებულების პოლიტიკური აქცია, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენი ორი ქვეყნის — კეთილი მეზობლების მეგობრობისა და თანამშრომლობას.

ავღანეთ-ინგლისის მესამე ომში ავღანელი ხალხის გამარჯვებამ თუმცა კი მოუღო ბოლო უშუალო კოლონიალიტურ სამხედრო ბატონობას, ჩვენი ქვეყანა ავღანელი ხალხის დიდი აპრილის რევოლუციამდე მიიხეკ განიცდიდა ფეოდალური ფორმისა და გამოვლინების კოლონიურ და იმპერიალისტურ ექსპლოატაციას. სულ უკანასკნელ დრამდე შემორჩენილი უცხოელთა უშუალო იმპერიალისტური ბატონობისა და ექსპლოატატორთა მხრივ ჩაგვრის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ავღანეთში ძალაუფლება ხელთ აიღო ნაციონალი დინასტიამ, რაც ტრაგიკული მოვლენა იყო ავღანეთის ისტორიაში. ეს ტირანული და რეაქციული დინასტია, საერთაშორისო იმპერიალისტების მარionეტი, რომლის არსი ექსპლოატატორული, ფეოდალური, არისტოკრატიული და ანტიხალხური, ტირანიისა და შუა საუკუნეების წყვდიადში განეცალა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ხელს უშლიდა ავღანეთის, მისი კეთილშობილი, და შრომისმოყვარე ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მეცნიერულ და იდეოლოგიურ განვითარებას. ეს დინასტია შეგნებულად აფერხებდა ქვეყნის განვითარებასა და პროგრესს და ექსპლოატაციის სხვადასხვაგვარი ფორმების, რეაქციული და არაადამიანური პოლიტიკის გამოყენებით აიძულებდა ავღანეთს მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოთა შორის დარჩენილიყო. თუ რამდენადმე მაინც ვითარდებოდა ქვეყანა, ეს მეტად უმნიშვნელო იყო. ეს დინასტია, რომელიც სახელმწიფოს მთელ სიმდიდრესა და დოვლათს უმცირესობის ინტერესებისათვის იყენებდა, საშინელ გაჭირვებაში აგდებდა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს — ავღანეთის წარმოელი ხალხის დიდ უმრავლესობას. დესპოტთა და ექსპლოატატორთა ეს დინასტია, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა კოლონიალიზმის, იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის სერთაშორისო ძალებთან, თავისა სასტიკი გამგებლობის პერიოდში როგორ დაუშვებდა, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მისი ხალხის იმედებისა და ინტერესების შესაბამისად განხორციელებულიყო და განვითარებულიყო. ჩვენი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობა მმართველი ანტიხალხური ბრალისა და იმპერიალიზმის ინგარებითი ინტერესებისათვის ვითარდებოდა. იმპერიალისტების მსახური დინასტიის საშინაო ანტიეროვნული პოლიტიკა გახდა იმის მიზეზი, რომ მეგობარ ქვეყნებთან, განსაკუთრებით მშრომელთა სოციალისტურ, პროგრესულ რევოლუციურ სახელმწიფოებთან ავღანეთის პოზიტიური და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ყოველნაირად ფერხდებოდა ან გაყინული იყო და ვერ პოულობდა ნამდვილ და ყოველმხრივ განვითარებას.

მაგრამ რევოლუციურად გაწმენდილი ავღანეთის ხალხი ვულკანური ან დარჩენილა ამ ანტიხალხური პოლიტიკისადმი, უწევდა მას წინააღმდეგობას და არ წყვეტდა ბრძოლას საერთაშორისო იმპერიალიზმთან პირშეკრული ტირანებისა და რეაქციონერების ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ ეს ბრძოლა დაჭაქუნულად წარმოებდა ან არ იყო სწორად ორგანიზებული, „იგი არ იძლეოდა ჯეროვან შედეგებს, ბოლო მეტრძოლ მამულიშვილებს ან ფიზიკურად სპობდა, ანდა არაადამიანურ პირობებში ამყოფებდა საპყრობილეში მმართველი დინასტია. კოლონიალიზმის, იმპერიალიზმისა და მათი მარionეტების წინააღმდეგ აღმდგარი ავღანელი ხალხის ამ ეროვნულ-გამათავისუფლებელმა ბრძოლამ გარკვეულწილად ამაღლა ჩვენი ქვეყნის ჩაგრულ მწარმოელთა პოლიტიკური და კლასობრივი შეგნება. მაგრამ მოწინავე რევოლუციურ თეორიაზე დაფუძნებული ეს ბრძოლა ბოლოს ვერ მოუღია მმართველ ტირანთა რეაქციულ ძალაუფლებას, ვერ მოიტანა საბოლოო გამარჯვება. ხალხის ბრძოლას აზეთ არ ჩაუვლია. მისი ლოგიკური შედეგი იყო ქვეყნის მუშათა კლასის აღანგარდის — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის შექმნა, რომელიც მუშათა კლასის მეცნიერული და რევოლუციური იდეოლოგიით შეიარაღდა და თავის პირველი ყრილობა 1965 წლის იანვარში გამართა ქაბულში.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიამ თავის ბაზებში ხამდვილი რევოლუციონერი მამულიშვილება გააერთიანა და დაიწყო პირველადი ბრძოლა ყველა მიმართულებით — ფეოდალიზმის, არისტოკრატიის, კოლონიალიზმის, ექსპლოატაციის, გარეგნე და შინაური რეაქციის წინააღმდეგ. პარტიამ აამაღლა მუშათა, გლეხთა და სხვა მშრომელთა კლასობრივი და პოლიტიკური შეგნების დონე, რათა მოეხდენინა ხალხი გადამწყვეტი რევოლუციური აჯანყებისათვის. ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების შესაბამის ეტაპზე ობიექტურად შექმნილი ვითარებისა და სუბიექტური ხასიათის ფაქტორების გათვალისწინებით ავღანეთში სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვება დიდმა სახალხო აპრილის რევოლუციამ, რომელიც მკაფიო მაგალითი გახდა მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელობით მომზადარი რევოლუციებისათვის, რომელთა მიზანია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება. მან გაამდიდრა წინანდელი პრაგრესული რევოლუციები, განსაკუთრებით ჩვენისთანა სახოგადოებების რევოლუციები ახალი და განუმეორებელი გამოცდილებით. ავღანეთის რევოლუციამ, რომელსაც თავისი საეკონომიკა ჰქონდა და, რომელიც ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს მეზობლები ავღანეთის მუშებისა და მშრომელთა სახეს ფენების წარმომადგენელმა, მამაცმა და გმირმა ოფიცრებმა, საბოლოოდ გაიმარჯვა. რევოლუციამ მთლიანად მოუღო ბოლო მმართველ რეჟიმს, რომელიც რეაქციას და იმპერიალიზმთან იყო ღაკავშირებული, და მისი ადგილი დაიკავა ახალმა პროგრესულმა დემოკრატიულმა რესპუბლიკურმა რეჟიმმა.

დიდი აპრილის რევოლუციის შემდეგ ავღანეთის ყველა მშრომელსა და ჩაგრულ მასებს შესაძლებლობა მიეცათ შეგნებული და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ავღანეთის ახალი და აყვავებული საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი სახელოვანი პარტიის — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, მუშათა კლასის ავანგარდია. ფეოდალიზმის ბორკილებისაგან სამოლოო განთავისუფლების ეტაპზე, ადგას რა განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, ავღანეთის ხალხი თავის თანამიმდევრულ დინამიკურ რევოლუციურ საქმიანობაში ისწრაფვის ააშენოს ისეთი საზოგადოება, რომელშიც ყველას შეეძლება იმუშაოს უნარის მიხედვით, მიიღოს შრომის მიხედვით, და რომელშიც არ იქნება ერთი ადამიანის ექსპლოატაცია მეორის მიერ. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყო ფართო ძირეული გარდაქმნები პოლიტიკის, ეკონომიკის, იდეოლოგიის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, სოციალური საქმეების დარგში, რომელთა მიზანია გაუმჯობესდეს ავღანელი ხალხის ცხოვრებისა და სულიერი განვითარების პირობები. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს ბრძანებულებანი ძლაერი და შემმუსვრელი ლახვარია რეაქციის უკანასკნელი დასაყრდენის, არისტოკრატიის, ფეოდალიზმისა და ექსპლოატატორებისათვის. ჩვენი რევოლუციური საბჭოს № 6 ბრძანებულებამ 11 მილიონამდე უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხი გათავისუფლა მეჯაზეთა მიერ ჩაგვრისა და კაბალური მორჩილებისაგან. რევოლუციური საბჭოს № 7 ბრძანებულებამ მოსპო ფეოდალიზმის საბარაბნინო მემკვიდრეობა, რომელიც დიდ ღაბრკოლებებს ქმნიდა ჩვენი საშობლოს მუშათა, გლეხთა და მთელი მშრომელი ხალხის მოზაღი თაობის აღზრდის გზაზე, უზრუნველყო ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა. რევოლუციური საბჭოს № 8 ბრძანებულებამ, რომელიც დემოკრატიულ მიწის რეფორმას მიეძღვნა, ლახვარი ჩასცა ფეოდალიზმს და სამეფოდ გათავისუფლა ავღანელი გლეხი ფეოდალთა მიერ საუკუნო ჩაგვრისაგან.

მთელი მშვიდობისმოყვარე მაცი ავღანელი ხალხი, რომელმაც ყოველმხრივ დაუჭირა მხარი დიდი აპრილის რევოლუციას, ღრმესი კმაყოფილებით ხვდება თავისი პარტიის, მთავრობისა და სახელმწიფოს ყველა ღონისძიებას, რომლებიც მის მისწრაფებასა და სურვილს გამოხატავენ. ბოლოს ომნიშვნელო უმცირესობა იმპერიალიზმის, საერთაშორისო, რეგიონული და შინაური რეაქციის წარმომადგენელი ანტიავღანეთური, ანტიდემოკრატიული ანტიხალხური ელემენტი, ალბა, ეგრეთვე იმის გამო, რომ ჩვენი სახალხო სახელმწიფოს ღონისძიებანი საფრთხეს უქმნიდნენ მათს პირადულ ანგარებიანს ინტერესებს, დაიწყეს თავიანთი პროვაგანდისტული წამქეზებლური საქმიანობა, ინტრიგები, ბინძური შეთქმულებები, ეერაფერი გეგმების შედგენა და სხვა კონტრრევოლუციური ღონისძიებები რევოლუციის, პარტიის, მთავრობისა და საერთოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის წინააღმდეგ. რეაქციის, იმპერიალიზმის, არისტოკრატიისა და ფეოდალიზმის დამაქაშვები და მარionეტები, რომლებიც ან ძველი მეფის რეჟიმის კუდები, ან შთამომავლობით არისტოკრატები, „ბაითნის ძმები“, ცრუმმართველნე, ექსტრემისტული, კონსერვატიული, ნაციონალისტური ელემენტები არიან, ეგრეთვე მთელი გამყიდველი ანტიხალხური, ანტიდემოკრატიული ელემენტები და ჯგუფები, რომელთა ანტირევოლუციური საქმიანობა და შეთქმულებები, საბედნიეროდ, გამოვაშკარავეთ და ვამხილეთ, აღგავეს მთავრობამ და ხალხმა, რომლებიც ფხიზლადა დგანან რევოლუციის საგუშაგოზე. ასეთივე ხვედრი მოელით მათ მომავალშიც, იმიტომ, რომ მათი ანტირევოლუციური და ანტიხალხური საქმიანობა ეწინააღმდეგება ისტორიისა და კაცობრიობის განვითარების საერთო მიმდინარეობას.

ავღანელი ხალხის დიდმა აპრილის რევოლუციამ დაამხო იმპერიალიზმთან და საერთაშორისო რეაქციასთან პირშეკრული ბმართველი ანტისახალხო კლასი და აღგავა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობის გზაზე არსებული ყველა დაბრკოლება. მეგობარი სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც დაუყოვნებლივ ცნო ოფიციალურად ავღანეთის ახალი დემოკრატიული რესპუბლიკური რეჟიმი. საბჭოთა კავშირმა გამოხატა ავღანეთის სახალხო რევოლუციისადმი საბჭოთა ხალხის ყოველმხრივი მხარდაჭერა და გაბარდა თავისი უანგარო დახმარება ავღანეთის ხალხისა და მთავრობისადმი. ავღანეთის ხალხი და მთავრობა დიდად მადლიერნი არიან ასეთი მეგობრული ძმური მხარდაჭერისთვის. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა, რომლის საფუძველია თანასწორობა, ძმობა, სუვერენიტეტის, ტერიტორიული ბმლიანობის ურთიერთპატივისცემა, ურთიერთგაგება, სამშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ნაყოფიერი და უანგარო დახმარება, წარმატებით ვითარდება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და დიდი აპრილის რევოლუციის მიერ გამოცხადებულ პრინციპებზეა დაფუძნებული, არა მარტო შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, არამედ ახალ მშვიდობის განმტკიცების ქმედითი ფაქტორიც არის და ეფექტიან როლს ასრულებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში.

ჩვენი გულთბილი გრძნობები გამოხატულია ხელშეკრულებაში, რომელსაც დღეს მოვაწერეთ ხელი ჩვენს ქვეყნებს შორის. მეგობრობის პირველი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ 57 წელი გავიდა. ამ ხელშეკრულების მოქმედების წლებში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად განვითარდა და ძმურ ურთიერთობად გადაიქცა, იგი გამოხატავს კლასობრივ-პროლეტარულ ხასიათს. ახალი ხელშეკრულება არა მარტო ასახავს ჩვენი ორი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობას, არამედ მტკიცე პასუხიც არის ოქტომბრის რევოლუციის ქვეყნის — საბჭოთა კავშირისა და აპრილის რევოლუციის ქვეყნის — ავღანეთის საერთო მტრებისადმი. ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც ჩვენი ორი სახელმწიფოსა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის ვიბრძვის, ერთ-ერთ ფაქტორად ითვლება ევროპაში, აზიასა და ინდოეთის ოკეანეში ძალთა ბალანსის, ეკონომიკური, ეერაფერი ბალანსის, ეერაფერი ბალანსის, ეერაფერი ბალანსის

ქართული მწერლობის კარიბჭესთან

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავისათვის

ცნობილი გახდა, რომ ქართული ეროვნული მწერლობის უძველესი ძეგლის „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი შეტანილია ამ საიუბილეო თარიღების რიცხვში, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით აღინიშნება 1979-1983 წლებში.

ამ პატარა მოთხრობამ არა მარტო გაუძლო თხუთმეტსაუკუნოვან მკაცრ გამოცდას, არამედ დღეს კიდევ უფრო მეტი სიძლიერით გამოაკეთა ამ შესანიშნავი ქმნილების მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ღირსებები. ნაწარმოებში ჩაქსოვილი ღრმა იდეური შინაარსი და თხრობის მომაჯადოებელი კულტურა დღესაც იშვიათ შემეცნებითს ძალას ანიჭებს მას, ყურადღებას იქცევს ნაწარმოებში აღძრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხების სიმახვილე და მასშტაბურობა. იაკობ ცურტაველი თავიდანვე წამოჭრა და პირველმა მისცა დასაბამი ქართულ მწერლობაში „ქართლის ბედის“ პრობლემას. გარკვეული ისტორიული ავბედობის შედეგად არაერთგზის დასმული ქართველი კაცის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფელობა არაერთგზის ყოფილა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ პოლიტიკურ ორიენტაციას დაადგებოდნენ ქვეყნის მესვეურნი.

V საუკუნის რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში საგანგებო სიმწვავით დადგა საერთაშორისო ვითარებაში გარკვევისა და არჩევანის საკითხი; ჯერ კიდევ ამ დროიდან აწყალებდა ქართველ კაცს „ბედი ქართლისა“ და „ქართლის ჭირი“. სიმბოლურია, რომ ქართველი კაცის ეს ისტორიული ტკივილი გამოხატულებას პოულობს ჩვენი მწერლობის პირველსავე ძეგლში. იაკობ ცურტაველი ამ ეროვნული ტკივილის ერთ-ერთ ასპექტად ანიშნავს ეროვნული ღირსებისა და ეროვნული ბედნიერების ერთ-ერთ ასპექტად ასახავს